



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
ლინგვისტიკა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ლინგვისტიკაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ზაალ კიკვიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 899-209430

E-mail: zaalk@yahoo.com

ქუთაისი
2008

1. სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამის მიზანია, გააცნოს მაგისტრანტებს თანამედროვე ენათმეცნიერების თითქმის ყველა მიღწევა, შეასწავლოს მათ დარგის ისტორიის ყველა ღირებული მიღგომა, კვლევის სპეციალური მეთოდები, არსებული მიმდინარეობები. პროგრამის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემდეგ კურსდამთავრებულს დამოუკიდებლად შეეძლოს საენათმეცნიერო გამოკვლევების განხორციელება და შესაბამისი დისციპლინების სწავლება სხვადასხვა საფეხურზე.

➤ მოსალოდნელი შედეგი

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იღებს შემდეგ აკადემიურ ხარისხს: ფილოლოგიის მაგისტრი (ლინგვისტიკა); მას შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს სამეცნიერო კვლევები როგორც ზოგადი, ასევე კერძო ენათმეცნიერების სხვადასხვა სფეროში, შეუძლია ასწავლოს სხვადასხვა საენათმეცნიერო დისციპლინა სწავლების შესაბამის საფეხურებზე.

2. კურსდამთავრებულთა დასაქმება

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული სრულად არის მზად და უფლებაც აქვს, გაარგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, იმუშაოს აკადემიურ დაწესებულებებში როგორც მკვლევარმა და როგორც პედაგოგმა.

3. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

1	დისციპლინის დასახელება	გამოცდა	ხათვლა	სააუდიტორიო მუშაობა							საათეის განაწილება კურსეისა და სემესტრეის მიხედვით				შენიშვნა			
				სულ	ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	კრედიტების რაოდენობა					I კურსი				II კურსი	
								I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	სულ	I სემ.	II სემ.			III სემ.	IV სემ.
	პროგრამისათვის სავალდებულო კურსები																	
1	ენათმეცნიერების აქტუალ. პრობლ.	3	1-2	157	90	67		5	5	5		15	3	3	3			
2	კომუნიკაციური ლინგვისტიკა	2	1	69	45	24		5				5	3					
3	ენის ფილოსოფია	1		69	40	29		5				5	4					
4	ტექსტის ლინგვისტიკა	2		69	40	29			5			5		3				
5	სოციოლინგვისტიკა	2	1	125	73	52		5	5			10	2	2				
6	სპეცურსი ფონოლოგიაში		2	69	40	29			5			5		2				
7	ენა და გენდერი		3	69	40	29				5		5			2			

8	სემანტიკა	3	3	69	40	29				5		5			3			
9	უცხო ენა		3	79	19	60				5		5			4			
	ესსე/რეფერატი	1		*125					5			5						
	საკურსო შრომა	2		*125					5			5						
	სამაგისტრო შრომა	4		*775							30	30				30		
	არჩევითი კურსები:																	
10	სპეცსემინარი არეალურ ლინგვისტიკაში		1	55		55		5					3					
11	სპეცსემინარი ენათმეცნიერების ისტორიაში		2	66		66			5					2				
12	სპეცკურსი ზოგად ენათმეცნიერებაში		3	79	50	29				5					3			
	პედაგოგიური პრაქტიკა	3		*125						5								
	სულ			975+* 1150	477	498		30	30	30	30	120	15	12	15			

* არასაუნიტორიო საათები

4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.